ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.7822193001**

თარიღი:**12/07/2022**

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების

პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და

აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი

ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა“ და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ივნისის N15-16 განკარგულებების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი, ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის, დანართის (N1) შესაბამისად.

2.ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

3.დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე www.eauction.ge;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ამბროლაურის სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, დ. აღმაშენებლის ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი